ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 83/გ

ქ. მცხეთა 25 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველ თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის“ კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თალაშვილის სახით, და, მეორეს მხრივ, **ი/მ „ბადრი წერეთელი”**, შემდგომში „მიმწოდებელი”, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქვიშის- 10კუბ.მ. -(CPV 14200000)- 270 ლარი შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 270(ორას სამოცდაათ) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

3.1 შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული მომსახურების შესაბამისად ;

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემკვეთის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

5. მხარეთა უფლება – მოვალეობები

5.1 „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

5.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

5.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

6.3 შესყიდვის არაჯეროვნად შესრულების, მ.შ-ის ვადაგადაცილების, შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებელს“ დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე,, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

12.1 შესრულებული სამუშაოს პირობების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ააიპ თვითმმართველ თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე მალხაზ კახობერაშვილი.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველ თემის მცხეთის	
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის	ი/მ „ბადრი წერეთელი"
სამსახური	
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 01004005117
ს/კ 436036255	ა/ა GE53LB0112166190316000
დირექტორი: გ.თალაშვილი	ბანკის კოდი LBRTGE22
	დირექტორი: ბ.წერეთელი

ქ. მცხეთა 25 .11. 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და ი/მ ,,ბადრი წერეთელს" შორის 2016 წლის 25 ნოემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N83 /გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.



თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: გ. თალაშვილი

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე: მ. კახობერაშვილი